საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030133971889118

№ 01-14/ო **27 / ივლისი / 2018 წ.**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის № 107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის № 249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მართვის კოლეგიური ორგანოს - სამეთვალყურეო საბჭოს (შემდგომში – სამეთვალყურეო საბჭო) შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) დავით სერგეენკო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) მაია ლაგვილავა – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

გ) გიორგი ხანიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

დ) ლევან კაკავა - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

ე) ზაალ კაპანაძე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

ვ) გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

ზ) ალექსანდრე თევზაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობაში სათათბირო ხმით მონაწილეობის მიღება შეიძლება ეთხოვოთ აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA), აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC) და უოლტერ რიდის სამხედრო ინსტიტუტის (WRAIR) წარმომადგენლებს და საჭიროების მიხედვით სხვა საერთაშორისო/პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 2 ივნისის №01-129/ო ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო